

## „დღის ასტროტურის“ მომსახურების ფარგლები 2026 წელი

### მომსახურება მოიცავს:

1. სადემონსტრაციო დარბაზის დათვალიერებას, რა დროსაც ვიზიტორი გაეცნობა ობსერვატორიის დაარსების ისტორიას, ქართული ასტრონომიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს და მოვლენებს, დღევანდებლობას და პერსპექტივებს. ეწვევა ობსერვატორიის დამაარსებლის, აკად. ევგენი ხარაძისა და პროფ. მიხეილ ვაშაკიძის კაბინეტებს;
2. 40 სმ-იანი ტელესკოპის დათვალიერებას, რა დროსაც ვიზიტორი გაეცნობა ობსერვატორიის ერთ-ერთ უძველეს პროფესიონალურ ტელესკოპს - „40 სმ-იან რეფრაქტორს“ და მისი ასტრონომიული კომპის კონსტრუქციას, ციურ სხეულებზე დაკვირვების პრინციპებს და მათ თავისებურებებს, „40 სმ-იან რეფრაქტორის“ შენობა, რომელშიც ის არის განთავსებული ატარებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს;
3. ლექციას, რა დროსაც - უფლებამოსილი პირი მცირე სალექციო დარბაზში მონიტორზე ატარებს პოპულარულ ლექცია-პრეზენტაციას, თემაზე: „სამყაროს აგებულება და ევოლუცია“.

**მომსახურების ადგილი:** 40 სმ-იანი რეფრაქტორის შენობა, მთა ყანობილი (დაბა აბასთუმანი)

**მომსახურების გაწევაზე უფლებამოსილი პირი:** საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის თანამშრომელი, კერძოდ, ასტრო-გიდი.

**ხანგრძლივობა:** 45 - 60 წთ.